№ 50
სამშაბათი,
27 ოქტომბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 50
სამშაბათი,
27 ოქტომბერი
1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. თვიურათ: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შემოსიდება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible]. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელ-ნაწერებს [illegible] არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

---

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

პარასკევს, 30 ოქტომბერს 1909 წ. ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

**ცხოვრების გზირი** — დრამა 3 მოქ. [illegible] || **ეკიმიან** — კომ. 1 მოქ. [illegible]

[illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე ა. ყორანაშვილი.

---

თფილისის სახაზინო თეატრი

[illegible] **„მხიარული ქვრივი“** [illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ [illegible] 1) **„მარგალიტის მაძიებლები“** 2) [illegible]

---

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით. ქსნიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7. „მეტეხის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № [illegible].

**ბალარჯევი პ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

**ბურკო ა. გ.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი პ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი პ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

**პირადოვი რ. გ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—11.

**სოგოლევსკი გ. პ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სამებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა.

(100—6—23)

---

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. პ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთშაბ. და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—23)

---

## მოწოდება

**ბაღდადის** უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს წიგნების ავტორებს და გამომცემლებს და აგრეთვე კერძო პირთ—პირველთ თავიანთ თხზულებების და გამოცემების თითო-ოროლა ცალის შეწირულებას, ხოლო უკანასკნელთ ფულით ან წიგნებით შემოწირულებით დახმარებას აღნიშნულ ახლად დაარსებულ სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ, რათა მით ხელი შეუწყონ მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს. ყოველგვარი შემოწირულება გამოცხადებული იქნება გაზეთში.

შემოწირულება და წერილობითი ცნობები გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი ადრესით: Кутаисъ. Книжный магазинъ „ИМЕРЕТІЯ“, Исидору Квицаридзе для Багдадской библіотеки.

გამგეობის წევრნი: ე. დადეშქელიანი, ერმილე დვალიშვილი და ანტონ ბუცხრიკიძე.

(2—1)

---

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3.

(0—4)

---

## გამგეობა

**გორჩა-ჯიხაიშის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა,** რომელმაც განაახლა თავისი მოქმედება, აცხადებს, რომ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების შემდეგ, ფულის შემომტანთ, რომლებსაც არ წარმოუდგენიათ თავიანთი წიგნები, შეუძლიანთ განაცხადონ ამის შესახებ გამგეობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამგეობა არავითარ განცხადებას არ მიიღებს.

გამგეობის წევრები: ა. ღოღობერიძე, კოსტა ცაგარეიშვილი და კოსტა ერაძე.

(7—1)

---

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

---

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

**გაკვეთილებს** გიმნაზია და საბუჰგალტერო კურსები, მაქვს 5 წლის საკანტორო პრაქტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. შემიძლია დამწერ მაშინაზე მუშაობა.

ოსიპოვის ტუპიკი, სახ. № 16, ბინა 1 მე-9 ნაწილში.

0—2

---

## ბათუმში

გაზეთ „მომავალი“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე

## გიორგი მახარამესთან.

იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალი“-ში დასაბეჭდათ.

(10—6)

---

## იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლოს საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში ს. კ—ან.

0—თ—17

---

სამშაბათს ამა ოქტომბრის 27-ს

ქართულ თეატრში

წერა-კითხ. გამავრცელებელი საზოგ. მიერ

გაიმართება

## ი. ჭავჭავაძის საღამო.

**1 განყოფილება:** სქესი, სიყვარული და „განდეგილი“, ლექცია გრ. რობაქიძისა.

**2 განყოფილება:** კონცერტი ნ. გაბუნია-ცაგარლის, **ვანო სარაჯიშვილის** ი. ბარათაშვილის და სხ. მონაწილეობით.

**3 განყოფილება:** ცხოველი სურათები **ილიას თხზულებიდან.** (დედა და შვილი, გაზაფხული, აჩრდილი, გუთნის დედა, კაკო, დიმ. თავდადებული)

დეკლამაციით.

**ცხოველ სურათებში** მონაწილეობას იღებენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, გაბუნია-ცაგარლისა, მდივანი, რომანიშვილი, ჩერქეზიშვილი და ფ. ჯაფარიძე; ბ-ნნი: გვარაძე, ზურაბიშვილი, ივანიძე, მესხი და ჯაფარიძე.

**ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.**

4—4

---

## სახელმწიფო დუმა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**მეშვიდე სხდომა.**

24 ოქტომბერი.

სახელმწიფო დუმის მეშვიდე სხდომა გაიხსნა 24 ოქტომბერს თავ. ვოლკონსკის თავმჯდომარეობით. დუმამ განაგრძო მიწების მოწესრიგების კანონ-პროექტის დანარჩენ მუხლების განხილვა. თითქმის ყველა დანარჩენი მუხლები 84—105-მდე დუმამ მიიღო, ზოგი ცოტა შესწორებით და ზოგიც კომისიის რედაქციით. მიიღეს აგრეთვე კომისიის რედაქციით კანონპროექტის ყველა ექვსი განყოფილება და ამით დასრულდა მთელი კანონ-პროექტის განხილვა. შემდეგ ამისა დუმა შეუდგა პირობით დასჯის კანონ-პროექტის განხილვას. მომხსენებელმა აჯემოვმა გააცნო დუმას კანონ-პროექტი, ვრცლათ აღნიშნა თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამგვარ დასჯას. კანონ-პროექტი ვრცელდება ისეთ დამნაშავეებზე, რომლებსაც ერთი წლისა და 4 თვის მეტი დასჯა არ მოელის. კომისიამ საჭიროთ სცნო აგრეთვე გავრცელებულ იქნას კანონ-პროექტი ისეთ დამნაშავეებზე, რომლებსაც ერთი წლის ციხე აქვთ მისჯილი. (ხმა მარჯვნიდან: „ბომბისტებზე“). კანონ-პროექტი არ ვრცელდება ცხენის ქურდებზე. **ზამისლოვსკი** წინააღმდეგია კანონ-პროექტი გავრცელდეს ისეთ დამნაშავეებზე, რომლებსაც ერთი წლის ციხე აქვთ მისჯილი, რადგან ეს რევოლიუციონერების ხელის შეწყობა იქნება. ის დაბეჯითებით მოითხოვს უარყონ ეს კანონ პროექტი. შემდეგ ლაპარაკობს იუსტიციის მინისტრი. ის თავის ვრცელ სიტყვაში ამტკიცებს, თუ რა დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ კანონპროექტის განხორციელებას. ის ეხება სხვადასხვა ქვეყნის ისტორიას, სადაც შემოღებულია პირობითი დასჯა, თუ რამდენათ კარგი ნაყოფი მოუტანა ქვეყანას პირობითი დასჯის შემოღებამ და რამდენათ შეამცირა დამნაშავეთა რიცხვი. მინისტრი მხარს უჭერს კანონპროექტს, მხოლოდ წინააღმდეგია გავრცელებულ იქნას ის ისეთ პირებზე, რომლებსაც ერთი წლის ციხე აქვთ მისჯილი.

დუმის 30 წევრს განცხადება შეაქვს მოხსნან ეს კანონ-პროექტი და სამაგიეროთ შეიტანონ კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოების შესახებ. ტიმოშკინი გლეხების სახელით აცხადებს, რომ მათთვის პირობითი დასჯაზე უფრო ადგილობრივ სასამართლოს აქვს მნიშვნელობა და მოითხოვს პირველის მოხსნას და უკანასკნელის განხილვას. კუზოკოვი, როგორც გლეხი, წინააღმდეგ, მოითხოვს პირობითი კანონ-პროექტის განხილვას. ხმის უმეტესობით დუმამ უარყო ტიმოშკინის წინადადება. დასასრულ ლაპარაკობს მაკლაკოვი, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ კანონ-პროექტის განხორციელებით [illegible] რეპრესიებიც. სხდომა დაიხურა. შემდეგი სხდომა შესდგება 26 ოქტომბერს.

---

## წერილები პეტერბურგიდან

3

**ადგილობრივი საკითხები სახელმწიფო დუმაში**

ამა თვის 13-ს მიწის საკითხების კომისიის პრეზიდიუმს თათბირი ქონდა მომავალი მუშაობის შესახებ.

თქვენ იცით რა მდგომარეობაში იყო დღემდის სოციალდემოკრატიული ფრაქციის კანონ-პროექტი ვალდებულ გლეხთა დამოკიდებულების გაუქმებისა.

მაისის უკანასკნელ რიცხვებში დუმამ მიიღო ს.-დ. წინადადება: გადაეცეს მიწის საკითხების კომისიას სოციალდემოკრატიული ფრაქციის კანონ-პროექტი და პირველ დეკემბრამდე წარმოუდგინოს ამ კომისიამ დუმას თავისი აზრი: არის თუ არა ეს კანონ-პროექტი სასურველი.

ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა პირველ შემთხვევაშივე გვესარგებლა ამ დადგენილებით.

შეუდგა თუ არა პრეზიდიუმი თათბირს, ჩვენ მას მოვაგონეთ ეს დადგენილება და წინადადება მივეცით, რომ გამოეთქვა თავისი აზრი. თანაც განუმარტეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიისთვის კანონ-პროექტს.

კომისიამ მცირე თათბირის შემდეგ დაადგინა: მოხსენდეს მიწის საკითხთა კომისიას პრეზიდიუმის აზრი, რომ აუცილებლათ საჭიროა ანგარიში გავუწიოთ კანონ-პროექტს.

პრეზიდიუმმა მიიღო აგრეთვე ჩვენი წინადადება, რომ კომისიის სხდომაზე მოეწვიათ კავკასიის დეპუტატები გაიდაროვი, შერვაშიძე, სალათელიანი და ხასმამედოვი.

15 ოქტომბერს შესდგა კომისიის სხდომა. მომხსენებელი იყო კომისიის თავმჯდომარე ოქტომბრისტი როდზიანკო. მან გაიმეორა პრეზიდიუმის აზრი და სთხოვა კომისიას თავის შეხედულება გამოეთქვა.

კომისიის დადგენილებით კანონ-პროექტი გადაეცა კომისიის მესამე სექციას. ამ სექციის წევრნი არიან: კადეტი ხარლამოვი, ნაციონალისტი მღვდელი კუზმინსკი, გლეხი ოქტომბრისტი გუზი, ოქტომბრისტი დუდნიკოვი, ეპისკოპოზი ევლოღი, კადეტი ივანოვი, მემარჯვენე კადაცკოვი, ოქტომბრისტი კოვზანი, ოქტომბრისტი ლავროვი, მემარჯვენე გლეხი ჩეპელევი, სალათელიანი და ჩხეიძე. როგორც ხედავთ, სექციაში შედის დუმის ფრაქციების თითქმის ყველა წარმომადგენელნი.

ჯერ გლეხები. ყველა ეს გლეხებია ასრე წოდებული მაგარი გლეხები (крѣпкіе крестьяне); ისინი არიან იმედი და ბურჯი დღევანდელი ბიუროკრატიის. მათის და მათი გვარი გლეხების წყალობით ცდილობენ ყოველგვარი რეაქციონერები შექმნან რაზმები წვრილი კერძო მესაკუთრეებისა. ეს რაზმები უნდა დაუპირდაპირონ სოფლათ უმიწაწყლოთ დარჩენილ გლეხთა მოუსვენარ ნაწილებს; ამ გლეხებისთვისაა შექმნილი ცხრა ნოემბრის და სხვა კანონები მიწის შესახებ. ბიუროკრატიის აგრარული პოლიტიკის ერთ უმთავრეს მიზანს ასეთი გლეხების გამაგრება, მოვლა-მოწყობა შეადგენს. მათთვის მზრუნველობს ბიუროკრატია, ისინი უნდა გახდენ სოფლის ბედ-იღბლის გამგე-პატრონები. ასეთია რამდენიმე გლეხი, რომლებიც შედიან სექციაში. აქვე არიან: ერთი მღვდელი და ერთი ეპისკოპოზი, ორივე წარმომადგენელია მოლაშქრე კლერიკალიზმის, რომლის შეკრება-შედგენას ასე ცდილობს დღეს რუსეთის მართლ-მადიდებელი სამღვდელოება. ოქტომბრისტები ეკუთვნიან მემარჯვენე ფრთას მათი ფრაქციისას. კადეტები ზომიერები არიან. [illegible] ლათ თავიანთი აზრი იმ საკითხის შესახებ, რომელსაც მთელი კავკასიის ცხოვრებისათვის უდიდესი ინტერესი აქვს.

ჩვენ ახლავე შეგვიძლია ვსთქვათ რა ბედი მოელის ჩვენ კანონ-პროექტს თავიდანვე. უსასყიდლოთ გლეხების განთავისუფლებას—ეს დედა-აზრია ჩვენი კანონ-პროექტის—სექცია უარს ყოფს. როგორც ეტყობა და მოსალოდნელიც იყო, ასეთივე აზრის იქნებიან თვით ზოგიერთი კავკასიის დეპუტატებიც. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ სასტიკი ბრძოლა გავუწიოთ ამ მიმართულებას სექციისას.

აქვე მოწვეული იქნებიან მთავრობის წარმომადგენელნი. ერთი მათგანი ამ დღეებში ვინახულე და ვკითხე: წარმოადგინა თუ არა ნამესტნიკმა კანონ-პროექტი დროებით ვალდებულ გლეხების შესახებ.

არავითარი კანონ-პროექტი ნამესტნიკს გლეხების შესახებ არ წარმოუდგენია და არც ვიცით როდის წარმოადგენსო. ეს ამბავი მოხდა საფინანსო კომისიის კრებაზე.

საჭიროთ მიმაჩნია აქვე აღვნიშნო რაზედ ჰქონდა მსჯელობა ამ კომისიას: 1906 წელს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო დუმაში შემოიტანა კანონპროექტი ასეთი სათაურით: „О преобразованіяхъ въ порядкѣ взиманія окладныхъ сборовъ, вызываемыхъ отмѣной круговой поруки по Высочайшему указу 5 октября 1906 г.“

განუმარტებლათაც ცხადია, რომ ეს კანონ-პროექტი ეხება კავკასიის ერთს უდიდესს კითხვას. ძნელი სათქმელია, რასაკვირველია, სად უფრო მეტი არეულობაა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სად უფრო ცხადათ ჩანს თვითნებობა-თავხედობა, მაგრამ ის, რაც ხდება გადასახადების განაწილება-აკრებაში, საზოგადოთ კანონ-მდებლობაში, რომელიც შეეხება ამ საკითხს, რაღაც ზღაპრული გეგონებათ, რომ ეს ზღაპრული რაიმე სულს არ ხდიდეს ხალხს.

წინა წერილებში მე უკვე აღვნიშნე, რომ წარსულ სესიაში დუმამ უკვე მიიღო სამი წლით კავკასიის გადასახადების

კანონ-პროექტი, რომელიც ნამესტნიკმა წარმოადგინა. ამ კანონ-პროექტში ყველაფერს ამოიკითხავთ, რაც გინდათ მხოლოდ ვერ მონახავთ იმის საბუთს, თუ რათ მოუმატეს გადასახადები კავკასიის მცხოვრებთ. ერთათ ერთი ამის საფუძველი ისაა, რომ ხაზინას ფული ეჭირვება. ჩვენ ვიცით, რომ ახლათ განაწილებული გადასახადების გაწერამ ხალხის ყოფა კიდევ უფრო გაამწვავა კავკასიაში. ამ რიგათ, ახლო მომავალში დუმამ უნდა განიხილოს ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი. რომ ასეთ საკითხს მომზადებული შევხვდეთ, საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა ყველასი, ვისაც კი ცოტა რამ მაინც გაეგება ამ საქმეში. მაგრამ სად არის ეს მუშაობა?

ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ვალდებულათ ვრაცხთ თავს ჩვენი აქაური მოქმედების ანგარიში წარვუდგინოთ ყველას, ვისაც კი აინტერესებს ადგილობრივი კითხვები რაც, რასაკვირველია, შეუძლებელია მარტო ქართული გაზეთის საშუალებით, მაგრამ, სამწუხაროთ, სხვა გზა არა გვაქვს ჯერ-ჯერობით მაინც. **კ. ჩხეიძე.**

პეტერბურგი. 16 ოქტომბერი.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25—26 ოქტომბერი.

## სპარსეთი.

### სათარხანის წინააღმდეგ.

**თავრიზი.** თავრიზში დაბრუნებისას სათარხანმა ინახულა გენერალ-გუბერნატორი და ცხარე ლაპარაკი მოუვიდა მასთან. სათარხანი მას ბრალს სდებს, რომ არდებილში ხაფანგი მოუწყო და დაღუპვა მოუნდომა. სათარხანი გადაყენებას დაემუქრა მას. სათარხანის წინააღმდეგ აშკარათ ამხედრდნენ. მას აბრალებენ არდებილში ყოფნის დროს ძარცვაგლეჯას.

შახსევანები სერაბთან მივიდნენ.

### მდგომარეობა არდებილში.

**ასტარა.** ძარცვა-გლეჯა ისევ გრძელდება არდებილში. დაზარალდნენ რუსეთის ქვეშევრდომნიც. რუს ვაჭართა მამასახლისის ბინაზე შეეხიზნა, რუსეთის ქვეშევრდომთა გარდა, 2000 მოქალაქე, „კოჩევოი" ხალხმა, რომლების შემწეობი- [illegible] ლი იყვნენ. ისინი ქალაქს იცავენ, რომ მთავრობის ჯარი არ მიუდგეს. მათ ჩვენი საელჩოს წინააღმდეგ ჯერ არ დაუწყიათ მოქმედება.

## საზღვარ-გარეთ.

### საზოგადოებათა პალატა.

**ლონდონი.** ირლანდიის საქმეების სტატს-სეკრეტარმა წინადადება შეიტანა უარყონ ყველა შესწორებები ლორდების პალატის, ირლანდიის ბილლის შესახებ, რომელიც ქვედა პალატამ მიიღო. 219 ხმით, წინააღმდეგ 14 ხმისა ლორდთა პალატის შესწორებები უარყვეს შემდეგი სხდომა დანიშნულია 10 ნოემბერს.

### დაჭერა.

**პარიჟი.** 23 ოქტომბერს დაიჭირეს რუსეთის ორი ქვეშევრდომი, რომლებსაც სამი ყუმბარა აღმოაჩნდათ.

### დეპუტატთა პალატა.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატის საგანგებო კრება, რომელსაც უნდა განეხილა არმიის რეორგანიზაციის შესახებ კანონ-პროექტი, დაიხურა ისე, რომ ამ კანონ-პროექტის შესახებ არავითარი რეზოლიუცია არ გამოუტანია. მორიგი სესია დაიწყება 27 ოქტომბერს.

### მდგომარეობა საბერძნეთში.

**ათინა.** საბერძნეთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ გავასის სააგენტო აცხადებს, რომ ტყუილია ის ხმები, თითქო მეფის ოჯახი ინგლისის გემზე გადასულიყოს. აჯანყების ფიცხლათ ჩაქრობის შემდეგ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. პარლამენტი ჩვეულებრივათ მოქმედობს. მთელ სამეფოში მშვიდობიანობაა. ტყუილია აგრეთვე ის ხმები თითქოს მეფე ტახტიდან გადამდგარიყოს.

### ომი.

**მელილია.** ვენისიკორისკენ წავიდა თექვსმეტი ათასი კაცისაგან შემდგარი რაზმი.

**მელილია.** ესპანელთა ჯარმა უომრათ დაიჭირა გინდენი, ერთი საუკეთესო პოზიციათაგანი.

## რუსეთი.

### სასამართლო.

**სმოლენსკი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა შვიდი დამნაშავის საქმე, რომლებსაც ს.-რევოლიუციონერთა პარტიის ჩრდილოეთ-დასავლეთის საოლქო ორგანიზაციის წევრობას აბრალებდნენ. ოთხს მიუსაჯა რვა თვიდან ოთხ წლამდე და სამ თვემდე ციხე, ერთს—ერთი თვის სატუსაღო, ხოლო ორი გაამართლა.

### შუამდგომლობა.

**ხარკოვი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა მოუმატონ მომრიგებელ მოსამართლეთა რიცხვს, რადგან ეხლანდელი რიცხვი ვერ ასდის საქმეებს. თითოზე მოდის 6000 საქმე.

### ცეცხლი.

**ჩარჯუი.** 23 ოქტომბრიდან იწვის ბამბის საწმენდი ქარხანა სპარსეთის ამხანაგობისა.

### თავდასხმა.

**კრასნოვოდსკი.** 23 ოქტომბერს კრასნავოდსკის რკინის გზის სადგურზე თავს დაესხნენ რკინის გზის მეარტელეს. დაიჭირეს სამი, ორი დასჭრეს. მსუბუქათ დაიჭრა დარაჯი. გაიტაცეს 500 მან.

### დუმის წევრის არჩევა.

**გროდნო.** სახელმწ. დუმის წევრათ აირჩიეს გლეხი ბორის სიმონის ძე იანუშკევიჩი, მონარქისტი.

**ხერსონი.** დუმის წევრათ აირჩიეს ვიშნევსკი, მემამულე, მართლ-მადიდებელი.

### ძარცვა-გლეჯა

**ხერსონი.** გაძარცვეს ნიკოლაევიდან ადესაში მიმავალი ფოსტა. წაიღეს საგანგებო ამანათების პარკი.

### აგრონომიული დახმარება.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა აგრონომიული დახმარება გაუწიოს მცხოვრებთ.

### ცეცხლი.

**უფა.** ბელებევის მაზრის სოფელ ხატიჩევოში და სტერლიტამაკსკის მაზრის სოფ. კურმინტაევოში დაიწვა 67 სახლი. ზარალი 86,061 მანეთამდეა.

### ქურდობა.

**ლოძი.** ვარშავიდან მოსულს ოქრომჭედელს მოპარეს 40,000 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები. ქურდი დაიჭირეს.

### ყაჩაღების დაჭერა.

**ჩერნიგოვი.** დაიჭირეს ყაჩაღების ბრბო, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში თავ-ზარს სცემდა მცხოვრებთ. დაიჭირეს აგრეთვე მრავალი პირ- [illegible]

### ამინდი.

**სიმფეროპოლი.** გასაოცარი ამინდებია. ყვავის ალუბალი და ყვავილები.

### დუმის მუშაობის გეგმა.

**პეტერბურგი.** ფრაქციების წარმომადგენელთა თათბირმა შეიმუშავა დუმის მუშაობის გეგმა: პირობითი დასჯის შესახებ კანონ-პროექტის განხილვის შემდეგ 30 ოქტომბერს მოხდება, ადგილობრივ სასამართლოების კანონ-პროექტის შესახებ კამათი, ამის შემდეგ პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტის შესახებ საზოგადო კამათი და მიწების მოწესრიგების კანონ პროექტის მეორეთ კითხვა. შემდეგ ადგილობრივ სასამართლოს და პიროვნების ხელშეუხებლობის კანონ-პროექტის მუხლებრივ კითხვა. ადგილობრივ სასამართლოს კანონ-პროექტის განხილვას მოანდომებენ ორ სხდომას და პიროვნების ხელშეუხებლობისა ერთს კვირაში.

### სკოლების დახმარება.

**ვოლოგდა.** სოლვიჩეგდის საერობო კრებამ დაადგინა ყოველ წლივ გადასდოს სამრევლო სკოლების სასარგებლოთ 10,500 მ.

### ხოლერა.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 10, მოკვდა 2, ავათ არის 191. ქალაქის ახლო ავათ გახდა 1, ავათ არის 8.

18—24 ოქტომბრამდე ავათ გახდა: არხანგელის გუბერნიაში ავათ გახდა 10, მოკვდა 6. გროდნოს მაზრაში 3, მოკვდა 2; ეკატერინოსლავის გუბერნიაში—15, მოკვდა 8. კოსტრომაში—11, მოკვდა 1. კრემენჩუგში—1. პოლტავის გუბერნიაში—6, მოკვდა 2. პერმის გუბერნიაში—2. პონევეჟში—2, მოკვდა 2. სამარის გუბერნიაში—1. რიგაში 1. ასტრახანში 11, მოკვდა 6, მორჩა—4.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 8, მოკვდა 6, მორჩა 1.

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი

**სომეხთა ჯგუფი პარლამენტში.** ოსმალეთის პარლამენტის სომეხთა ჯგუფს ვ. თ. ტოტომიანცისათვის მიუმართავს თხოვნით რუსეთის ერობის და კოოპერატიული მოძრაობის შესახებ ლიტერატურა მოგვაწოდეო. დეპუტატებს განზრახვა აქვთ კანონ-პროექტები შეიტანონ პარლამენტში ოსმალეთში საერობო თვითმართველობის შემოღების და კოოპერატიული ორგანიზაციების ნება-დართვის შესახებ.

**საერთო სულის-კვეთება.** ლონდონის გაზეთების სიტყვით ეხლა ათინაში სრული სიწყნარეა, რომელიც მიეწერება იქ მყოფ ჯარს, მაგრამ ყოველივე ეს დროებითია. ხალხი დიდათ აღელვებულია და საკმარისია ოდნავ მიზეზი, რომ აჯანყებამ კვლავ იფეთქოს და მიიღოს საერთო არეულობის ხასიათი.

**ინციდენტი პალატაში.** პალატის უკანასკნელ სხდომის დროს ერთმა დეპუტატმა მოითხოვა აუცილებლათ დაეხვრიტათ აჯანყების მეთაურები. ამის პასუხათ მეორე დეპუტატმა დაიყვირა: „მაგრამ ხომ ასევე უნდა მოვექცეთ სამხედრო ლიგის მეთაურებსაც".

სამხედრო ლიგამ მოთხოვნილება წარუდგინა პარლამენტს დაეტუსაღებინათ ორივე დეპუტატები, მაგრამ პალატამ ვარყო, რაიცა ამტკიცებს სამხედრო ლიგის გავლენის დაკარგვას.

## რუსეთი

**აზეფის ცხოვრებიდან.** ფინლიანდიის გაზეთი „Nia Prese" სწერს, რომ 1906 წლიდან ორი წლის განმავლობაში აზეფი ჰელსინგფორსში ცხოვრობდა. ის მხოლოდ ხანდახან მიდიოდა რუსეთში. აზეფის მიზანი იყო აღმოეჩინა იარაღის საწყობი ფინლიანდიაში და პროვოკატორული განზრახვით ტერორისტული აქტები მოეხდინა, მაგრამ თავის წადილს ვერ მიაღწია. აზეფს ფინლიანდიაში ყუმბარების დასამზადებელი ლაბორატორიაც ნდომია გაეხსნა, მაგრამ ფინლიანდიელებს ამის ნება არ მიუციათ.

**არალეგალური ლიტერატურა.** დუმის სამკითხველოს კომისიას ერთი თავსატეხი კითხვა აღმოუჩნდა. საზღვარ-გარეთიდან ამ უკანასკნელ დროს დიდძალი არალეგალური ლიტერატურა მოდის დუმაში. გრ. ბობრინსკიმ და ალექსეევმა აღარ იციან რა უყონ არალეგალურ ლიტერატურას, რომელიც დუმის სამკითხველოში მოდის. [illegible] პრეზიდიუმმა გა- [illegible] შეიმუშავოს ახალი წესები სამკითხველოსათვის [illegible] ლიტერატურით სარგებლობის შესახებ. მანამდე კი, ლიტერატურა განსაკუთრებულ შკაფებში ჩაკეტონ, რომ დეპუტატებს არ შეეძლოთ მით სარგებლობა.

**ტოლმაჩევის განკარგულება.** ადესის ებრაელებმა ამას წინათ თავიანთი სამლოცველო (სინაგოგა) სადღესასწაულოთ მორთეს. სხვათა შორის სამლოცველოს შესავალ კარებს ზემოთ გამართული იყო მეფის გვირგვინები (короны). მხოლოდ გვირგვინებზე ჯვრები არ იყო გამოხატული. ტოლმაჩევმა ეს შენიშნა და მიზეზი იკითხა. მას მოახსენეს, რომ ჯვრის სამლოცველოზე გამართვას ებრაელებს სარწმუნოება უკრძალავსო. ტოლმაჩევმა სამლოცველოს მნათე მოიწვია და უბძანა დაუყონებლივ გაეკეთებიათ გვირგვინებზე ჯვრები, ვინაიდან მეფის გვირგვინის ფორმის შეცვლა ყოვლად შეუწყნარებლათ მიაჩნია მას.

**გლეხების არეულობა.** ქუტაისში ცნობა მიუღიათ, რომ გრაფ ლედოხოვის მამულში გლეხებმა არეულობა მოახდინესო. საქმე ასე ყოფილა: მემამულეს გლეხებისათვის საბალახოებით სარგებლობა აუკრძალავს და მინდვრებში ინგუშები დაუყენებია. გაბრაზებულ გლეხებს მემამულის გამგისათვის უცემიათ. ინგუშებს თოფები დაუშენიათ და რამდენიმე გლეხი დაუჭრიათ. გლეხებს მემამულის კარ-მიდამო გაუნადგურებიათ და ეკონომიის თანაშემწე მოუკლავთ.

**1,000 ებრაელის დაჭერა.** ვარშავის გაზეთების სიტყვით ვიტებსკის გუბერნიაში სხვადასხვა ადგილას პოლიციას დაუჭერია 1,000 ებრაელი. დაჭერილია რამოდენიმე რაბინი, ვექილი და სხვა თანამდებობის პირები. დაჭერილ ებრაელებს აბრალებენ საიდუმლო ორგანიზაციის წევრობას, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული სხვადასხვა საშუალებებით ახ-.გაზდა ებრაელთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლება. ეს საიდუმლო ორგანიზაცია კარგა ხანია თურმე, რაც არსებობს და ბევრი ებრაელიც გაუნთავისუფლებია სამხედრო ბეგრის მოხდისაგან.

**147 სტუდენტის დათხოვა.** ვარშავის უნივერსიტეტიდან სასწავლო ფულის შეუტანლობის გამო მთავრობას 147 სტუდენტი გამოურიცხავს.

**როტმისტრი პონომარევი.** ეკატერინოდარის ჟანდარმების ცნობილ როტმისტრ პონომარევის საგმირო საქმეების გამოძიებას შესდგომიან. პონომარევმა ამას წინათ რამდენიმე მდიდარი სომეხი დაატუსაღებია, როგორც „დაშნაკცუტიუნის" პარტიის წევრები, ნამდვილათ კი, საქმე სხვაფერ ყოფილა...

**ახალი პროექტი.** იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოს განსახილველათ წარუდგინა ახალი პროექტი კატორღის გადაკეთების შესახებ. სამინისტროს აზრათ აქვს არსებული საკატორღო დაწესებულებანი გააუქმოს და მის ალაგას შემოიღოს ცენტრალურ სატუსაღოებში სასჯელის მოხდა.

# ახალი ამბები

—

**შეერთებული სხდომა.** 25 ოქტომბერს შესდგა შეერთებული სხდომა სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი სექციის და ახლათ დაარსებული „კრუჟოკის" წევრებისა. კრებაზე შეეხნენ ახალი „კრუჟოკის" წესდებას და კრიტიკა გაუკეთეს მას. გამოითქვა ის აზრი, რომ სექციისაგან გამოყოფა და ცალკე „კრუჟოკის" დაარსება საჭირო არ არის. დაბოლოს თავმჯდომარემ კითხვა დასვა, თუ რამდენათ საჭიროა ცალკე „კრუჟოკი". კრებამ ხმის უმეტესობით სურვილი გამოსთქვა ასეთი წრის დაარსებისა, მარა არა იმ სახით, როგორიც ამ ჟამათ „კრუჟოკია"—არამედ, მისი წესდება უნდა შეიმუშაოს თვით სექციამ უფრო დემოკრატიულ საფუძველზე.

✦ **ესპერანტოს განყოფილება.** ერთი ჯგუფის თხოვნით „კავკ. საესპერანტო საზ." წევრმა 22 ოქტომბერს, რკინის გზის თეატრში, სამტრედიაში, ლექცია წაიკითხა საერთაშორისო ენის „ესპერანტოს" მნიშვნელობის შესახებ. ლექციას ასზე მეტი პირი დაესწრო. ლექციის შემდეგ რამდენიმე ინჟინერმა და აფიცერმა გადასწყვიტეს დააარსონ საესპერანტო ჯგუფი, რომელსაც სახელათ დაერქმევა „სამტრედიის განყოფილება [illegible] საზოგადოებისა".

✦ **ქალ. საფინანსო კომისიის სხდომა** სამშაბათს, 27 ოქტომბერს მოხდება, რომელიც გაარჩევს 1910 წლ. ხარჯთაღრიცხვის გეგმას და ამასთანავე მიძებნის წყაროს ქალაქის დეფიციტის—300,000 მან. დასაფარავათ.

✦ **ლამბაშიძის განთავისუფლება.** რუსეთის მთავრობის მოთხოვნით ბორდოში დატუსაღებული სტუდენტი ლამბაშიძე გაანთავისუფლეს, რადგან რუსეთიდან წარდგენილი ბრალდებები საკმარისი არ აღმოჩნდა. («ბაკუ»).

✦ **ახალი პიესა.** თ. გ. დ. შერვაშიძემ ადგილობრივ საცენზურო კომიტეტს ნებართვისათვის წარუდგინა ქართულ ენაზე დაწერილი პიესა „გიორგი III".

✦ **საზოგადოების განაჩენი.** ს. მარტყოფის საზოგადოებამ თავის დადგენილება წარუდგენია თფილისის მაზრის უფროსისათვის, რომლის ძალით საზოგადოებაში (1000 კომლია) თვითეულ კომლმა წლიურათ 3 მ. 50 კაპ. უნდა იხადოს. ამის შემდეგ ადგილობრივ მღვდლები უფასოთ იმსახურებენ.

✦ **ქართული ქრესტომატია.** ი. გომელაურის მიერ შედგენილი ქართული ქრესტომატია საქართველოს საეპარქიო საბჭოს მოუწონებია.

✦ **თფილისის საკომერციო სასწავლებელში** ლოღიკის, ფსიხოლოგიის და რუსულ ლიტერატურის მასწავლებლათ მოუწვევიათ ქართული ენის ცენზორი ბ-ნი ი. ტ. პოლუმორდვინოვი.

✦ **იოანიტების გამოლაშქრება კავკასიაში.** როგორც იტყობინებიან, „კრონშტადტის მაიაკის" გამომცემელ ბოლშაკოვის თაოსნობით, იოანიტები აარსებენ საზოგადოებას, რომლის წევრნი „დები" და „ძმები" მალე ესტუმრებიან კავკასიას და ამიერ-კავკასიასაც თავიანთ აზრების და ლიტერატურის გასავრცელებლათ გაიხდიან. ადგილობრივი მართლმადიდებელი მისია შეგებებას უპირობს ამ საზოგადოებას. („ტ. ლ.")

✦ **რედაქტორის დაჯარიმება.** „ბათუმ. იზვ."-ში „პატარა ფელეტონის" მოთავსებისთვის, რომელიც ბათუმის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მმართველის ა. ჟუკოვსკის მოქმედებას ეხებოდა, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით გაზეთის რედაქტორ-გამომცემელმა 250 მან. ჯარიმა უნდა გადაიხადოს. თუ გადახდას ვერ შეძლებს, იმ შემთხვევაში სამი კვირით ციხეში ჯდომით სასჯელს მიიღებს.

✦ **წითელი წვიმა და ლეგენდები ამ წვიმის შესახებ.** ამ დღეებში პიატიგორსკის მიდამოებში არაჩვეულებრივ მოვლენამ მიიქცია ყურადღება. წვიმის შემდეგ მცენარეებზე და სახლების სახურავებზე ბევრი წითელი მტვერი დააჩნდა. ქალაქის გარეთ ამის შესახებ მალე ლეგენდა გავრცელდა: წითელი წვიმა ეს წმ. ილიას ცრემლებია, ილია სტირის ცოდვილი ხალხის მზერით. ილიას გარდა ლაპარაკობენ ანტექრისტეზედაც. კარგათ ჩაცმულ ახალგაზრდის სახით,—როგორც ბევრს ეგონა და ლაპარაკობდენ კიდეც, ეს ანტექრისტე 300 მ. პირდება ყოველ მართლ-მორწმუნე ქრისტიანს, ვინც კი უარყოფდა ქრისტეს და თავის სისხლით დაწერილს უარყოფის ხელწერილსაც დასდებდა.

✦ **საქონლის ჭირი.** როგორც გვატყობინებენ, ს. სამთავრისში, გორის მაზრაში, საქონლის ავათმყოფობა—ციმბირის ჭირი გაჩენილა.

✦ **მოწაფეთა ალმანახი.** 1 ნოემბრიდან თფილისში გამოვა მოწაფეთა ალმანახი „პირველი ნაბიჯა".

✦ **ფოთიდან გვწერენ:** ადგილობრივ სატუსაღოში ტუსაღთა რიცხვი ამ ჟამად ორმოცს უდრის, მათ შორის მხოლოდ სამია პოლიტიკური. დანარჩენები ვადიანი და ეგრეთ წოდებული „უგოლოვნებია" ამ ბოლო ხანებში დაჭერა-ჩხრეკამ შესამჩნევათ იკლო.

✦ **შეპყრობა** 24 ოქტომბერს სადავოი ქუჩაზე პოლიციელებმა დააკავეს ადმინისტრატიულათ გადასახლებული გორის მაზრის მცხოვრები სანდრო სუგუნაშვილი, რომელიც თფილისში თავის ნებით დაბრუნებულა. ამავე დღეს მე-7 საპოლიციო უბანში დააპატიმრეს გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი დ. ჯანაევი და ა. დანიანცი მათ პასუხის გებაში აძლევენ.

✦ **სხვადა სხვა ამბები.** 23 ოქტომბერს, საღამოს, ფედოროვის ქუჩაზე, დაკეტილ სახლის წინა ოთახიდან უცნობ პირებს საგანგებო კლიტის შემწეობით წაუღიათ აფიცრის სამი პალტო, ღირებ. 150 მ. და ქალის პალტოც ღირებული 30 მან.

— 23 ოქტომბერს თფილისის ტრამვაის საზოგადოების კანტრალიორმა მუსა ტიმოფეევმა, რომელიც სურპ-სარქისოვის ქუჩაზე ცხოვრობს № 45 სახლში, პოლიციას განუცხადა, რომ 8 ოქტომბერს მას, მოსამსახურე ბათუმის მცხოვრებმა ხაბიჭა იაკობიძემ დაუკეტავ უჯრიდან მოიპარა 100 მ. ფულით და სხვა ნივთებიც. ქალი იაკობიძე დააკავეს მე-6 საპოლიციო უბანში. 24 ოქტ. მეჟევოი ქუჩაზე № 23 სახლში მცხოვრებ ნაფიც ვექილმა ნიკო ლაპინსკიმ განუცხადა პოლიციას, რომ 23 ოქტომბ. ყოფილ „პროჟექტორ" „ელექტონიდან" მიხაილოვის ქუჩაზე სახ. № 182 ვიღაც უცნობმა გაიტანა ფაბრიკის მატორი „ავონსი", რომელიც 4000 მ. ფასობს და რომელიც ეკუთვნის მას, როგორც კინსბრუნერის რწმუნებულს. მატორი იპოვეს ქონის სადუღებელ ქარხანაში მეირა კარლინსკისა, რომელიც იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, ნემცების სასაფლაოს მახლობლათ.

— 25 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა ნოვობაიაზეთის მცხოვრები მ. სარქისოვი, რომელიც 1907 წლ. სალდათობას ემალებოდა. 25 ოქტომბერს ვოგზლის ქუჩაზე მომუშავე პარიკმახერებმა სახლი № 21 განუცხადეს პოლიციას, რომ მათი შინ არ ყოფნის დროს, მათმა შეგირდმა ქუთ. მაზრის მცხოვრებ მ. პაჩუაშვილმა კასიდან 150 მანეთი გაიტაცა და მიიმალა. პაჩუაშვილი პოლიციამ დააპატიმრა, რომელიც ქურდობაში გამოტყდა, ხოლო 150 მ. კი არა, 6 მ. წავიღეო. გატაცებული ფული დაუბრუნეს პატრონს.

✦ **წარმომადგენელი ნადირობის მოსაწესრიგებელ სიეზდზე.** თფილისის სანადირო საზოგადოების განყოფილებას დაუდგენია წარმომადგენელი გაგზავნოს ნადირობის მომწესრიგებელთა საზოგადოებების სიეზდზე დასასწრებლათ მოსკოვში.

✦ **იასონ ჭოლოხავა გვთხოვს გამოვაცხადოთ** ბოგდანოვის პოლიტიკური ეკონომიის მასთან ხელის მომწერთა საყუ-

რადღებოთ: რადგანაც მე ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზის გამო თეირანში არ ვიმყოფები, პოლიტიკური ეკონომია შეუძლიანთ მიიღონ, ვაგზავნი პირველ კლასში ვარლამ გიორგის ძე ჩხაჩვათან.

✦ კონდუქტორი ეგ. ჟიბლაძე უღრმეს მადლობას უცხადებს მიხაილოვის ამხანაგ-ნათესავებს, რომლებმაც მისი მწუხარება გაიზიარეს და დახმარება აღმოუჩინეს, როგორც ზნეობრივათ, აგრეთვე მატერიალურათ.

## წერილები სპარსეთიდან

5

**ბაქოდან რეშტამდე.**

9 საათზე მასპინძელთან ერთათ ენჯუმენში წავედით. ეზო ხალხით იყო გაჭედილი. შეიარაღებული მუჯაიდები ეზოკარებს იცავდენ. ეხლა რამაზანია ირანის. დღე მუშაობა არ შეიძლება, ამიტომ ენჯუმენის კრებები ღამეა. ჩვენ მაღლა სართულში ავედით, სადათ მორთულ გუბერნატორის სამმართველოში: ერთ მაგიდაზე ქაღალდები ეწყო, სავარძელში რეშტის გუბერნატორი გადაწოლილიყო და გარს მოხელეები ეხვივნენ. მირზა-ქარიმ ხანმა და ერთმა კომიტეტის წევრმა ჩვენი თავი გააცნო. ისინი ზეზე წამოდგენ; გუბერნატორმა ჩაიზე მიგვიწვია და მუსაიფი გაიმართა. გუბერნატორმა ბოდიში მოიხადა და აღგვითქვა სამაგიეროთ „კალიასკით“ გამგზავრება თეირანში...

10 საათზე ენჯუმენი გაიხსნა და ჩვენ ჩაგვიყვანეს ქვევით სართულში. რამდენიმე ოთახი გაგვატარეს, სადაც შეიარაღებული მუჯაიდები იდგენ და დიდ ზალაში შევედით. აქ იხსდა ენჯუმენის 12 წევრი. თავმჯდომარეს უკვე გაეგო ჩვენი მისვლის შესახებ. მან მოკლე სიტყვით მიმართა ენჯუმენის წევრებს და ბოლოს ჩამოგვართვა ხელი: ისტორია არ დაივიწყებს გურჯების დიად ამაგს, იმედი გვაქვს არ დაგვძრახავთ შესაფერათ რომ ვერ გიხვდებით, მარა მომავალი თაობა დააფასებს თქვენ შრომას... იყო დრო, როცა ჩვენი წინაპრები უვიცობით იბრძოდენ ერთმანეთში, ეხლა კი ვეცდებით თქვენი დახმარებისთვის...

შემდეგ მოიგონეს აქ დახოცილის სახელები. წამოსვლისას ზეზე ადგენ, სახე გაბრწყინებულებმა თქვეს: „იაშასუნ გურჯი“-ო და ერთმა ენჯუმენის წევრმა მითავაზა ბია (კომში).

ჩემს პატარა მაგიდას ამკობს მშვენიერი თაიგული და კომში. შენ თითონ მიხვდები, მკითხველო, თუ რა ძვირფასია ეს ორი საჩუქარი, ან რა სიყვარულია მათში.

26 სექტემბერს დავათვალიერეთ სარდარ მანსურის განთქმული ბაღი. აქ შუა ტანამდე ძირიდან ხეებს თაროები აქვს შემოჭედილი და ყვავილებით არის შემკობილი—თითქოს ხე შუამდე ათასნაირათ აყვავებულაო. ეს სასახლე უფრო მორთულია და მოკაზმული ვიდრე ზემოაწერილი. ზალაში პიანინო დგას, ზალის პირდაპირ დიდი აივანია გადახურული, შუაზე გრძელი სუფრაა, გარს აბრეშუმ-ხავერდის სკამები, კედლები სურათებით შემკული, წინ ბაღია გაშლილი ხეივნებით, მწვანე გზით; შუაზე მარმარილოს დიდი აუზია ამოყვანილი, გარს ყვავილებ შემოვლებული და ქალებისათვის საბანებლათ კიბეა ჩასასვლელი. აქ ყოველივე მოგაგონებთ ძველ რომაელების ცხოვრებას. მოსამსახურე აქ ოცდა ათ წელს, ან მთელ სიცოცხლეს მსახურობს. მებაღის დღიური ქირა 20 კაპ. მთელი სოფლის ქალიშვილები ხანებისაა, გარყვნილებას ხომ საზღვარი არ აქვს...

29 სექტემბერს ვნახე აქაური ციხე, საწამებელი იარაღები, რომლის ნაწილი რევოლიუციონერებმა დალეწეს.

30-ს სექტ. მოვიდენ ადერბეიჯანის დეპუტატები. სადილათ ყველანი მიიწვიეს მირზა-ქარიმ ხანთან. ჩვენც შეგვატყობიეს. როცა ზალაში შევედით, წამოცვივდენ და ზოგმა მათგანმა კიდეც გადამკოცნეს, რაიც იშვიათია ირანში. აქ იყო თავრიზის ენჯუმენის სამი წევრი რომლებიც ბარიკადებზე თოფით იბრძოდენ ხალხთან, თავისუფლებისათვის. მადლიერი ერი მათ მეჯლისში (პარლამენტში) გზავნის თავის ინტერესების დასაცველათ.

ამაზე მეტი ბედნიერება და ჯილდო აღარ იქნება. ყველას სახე უბრწყინავს. საქმეზე ლაპარაკობს და იმედიანათ გამოიყურებიან. თუ საქმე წახდა, კვლავ იარაღით ხელში, ვიბრძოლებთ თავისუფლებისათვისო—მამაცათ წამოიძახა ერთმა მათგანმა.

ხვალ თავრიზელ დეპუტატებთან ერთათ გავემგზავრებით თეირანში და ვეცდებით ჩვენი შთაბეჭდილებანიც გავუზიაროთ მკითხველს.

1-ლ ოქტომბერს ღამით დაატყვევეს ყველა ბოროტ-მოქმედნი—ფულის გამტაცებლები—სამივე სომხებია და მათ წინაამდეგ „დროშაკისტები“ სასტიკ ზომებს ღებულობენ. გზები გახსნილია.

გლახა მგელაძე.

ქ. რეშტი, 2 ოქტომბერი.

## † ნიკო (მიტრო) მგელაძის ხსოვნას.

დღეს წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვგლიჯა ამხ. მიტრო, გულწრფელი, უანგარო, თავდადებული და დაუღალავი მებრძოლი მუშათა ინტერესებისათვის. წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ სულ ნორჩი სიცოცხლე, ფრთებ გაუშლელი მოსწყდა საყვარელ საქმეს, მოშორდა ტოლ-ამხანაგებს. ის ჯერ 20—22 წლის თუ იქნებოდა; მის სადს და მკვირცხლ გონებას, შესანიშნავ ნიჭს და ასეთსავე ენერგიას ჯერ გაფურჩქვნა, აყვავება, ფრთების შესხმა ვერც კი მოესწრო. მის მუდმივ ოცნებას —მოეპოვა რამდენიმე თავისუფალი დრო და მიეყო ხელი სერიოზულ განვითარებისათვის (რომლისთვისაც, ვიმეორებ, მას ნიჭიც შესწევდა და ენერგიაც),—არ დასცალდა განხორციელება. ის ჯერ კიდევ იმ შავ მოშუშავეთაგანი იყო, რომელთა ხვედრია მუდამ ბნელ, ნესტიან სარდაფებში აუტანელი შრომა, „წვრილ“ საქმეებზე წვალება.

ღარიბი და მასთან მოხუცებული დედ-მამის შვილი, ის ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში იქნა მიბარებული, სადაც თავის ჭკუა-მახვილობით, სიმკვირცხლით და ნიჭით ჩქარა მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება. სასულიერო სასწავლებლის დასრულების შემდეგ ქუთაისის სემინარიაში იქნა მიღებული, მარა მიტროს ცოდნისა და განვითარების მოყვარულ ბუნებას ვერ დააკმაყოფილებდა სემინარიის მშრალი და უსარგებლო საგნები და მან ხელი მიყო თვით-განვითარებას, მარა სემინარიის ყაზარმული რეჟიმი სასტიკათ კრძალავდა ყოველგვარ „გარეშე“ წიგნს, ყოველგვარ ჭეშმარიტ აზრის შეთვისებას. მიტრო ვერ შეეგუა ასეთ რეჟიმს და შეუდგა უსამართლობასთან ბრძოლას. ბერებმა „ზომები“ მიიღეს და მიტრო სხვა ამხანაგებთან ერთათ გაძევებულ იქნა სემინარიის მესამე კლასიდან: დასტოვა თუ არა ეს დამახინჯებული სკოლა, ის გადაეშვა ახვირთებულ ცხოვრების ტალღებში, ამ საუკეთესო და უებარ სკოლაში. მან მიაშურა ბათუმს, სადაც ის იყო, ფართო, მასსიური მუშათა მოძრაობა იწყებოდა. აქ მან მომქმედ მუშებისგან ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა და მათთან ერთად მუშაობას შეუდგა.

მუდმივი შრომა და აუტანელი ეკონომიური პირობები ვერ აიტანა მიტროს ნორჩმა ბუნებამ და ის შეიპყრო იმ საშინელმა სენმა, რომელსაც არა ერთი და ორი ჩვენი ამხანაგი უმსხვერპლია—ჭლექმა. მან დიდხანს ვერ გაუძლო ამ კატორღობის მუსრს და 27 ოქტომბერს, 1908 წელს განუტევა სული.

იძინე მშვიდათ ძვირფასო დაუვიწყარო ამხანაგო მიტრო!

ილიკო.

## ლექცია ნიკოლოზ ბარათაშვილზე

რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულმა გაზეთებმა თავის მკითხველებს აცნობეს: ბ. გრ. რობაქიძე ნ. ბარათაშვილზე ლექციას კითხულობსო. 24 ამ თვეს, როგორც იყო, ვეღირსეთ ამ დიდი ხნის წინათ აღთქმულ ლექციას, რომელსაც ბლომათ დაესწრო ჩვენი საზოგადოების უმაღლესი წოდება და ის ნაწილი, რომელსაც ქართული საზოგადოების სახელი თავის მონოპოლიათ გადაუქცევია. ეს პარტერ-ლოჟებში, რასაკვირველია. საყურადღებოა, რომ არც ბ. რობაქიძე და არც მისი უკანასკნელი ლექცია არაფერ ახალს, ორიგინალურს არ შეიცავდა. თქვენ აქ გაიგონებდით იმავე „ლამაზი“ ფრაზების რახა-რუხს, აზრების ბუნდოვნობას; თქვენ აქ ნახავდით იმავე ბ. რობაქიძეს ყველა თავისი ერთხელ შემუშავებულ თეატრალური მანერებით. ყველა ეს იმდენათ ჩვეულებრივი, იმდენათ შაბლონურია, რომ როცა ფარდა აიხდება, თქვენ უკვე წინდაწინ იცით, თუ ბ. რობაქიძე რომელ ფეხს წინ გადმოდგამს, თუ როგორ მოჩვენებითი თავდახრილი გამოვარდება ის სცენაზე, როგორ გაავლებს ის თვალს მსმენელებს და მიახვედრება მაღლა სივრცეს.

აქ ყველაფერი წინდაწინ, დიდი ხნით შესწავლილი და გაზეპირებულია. იგივე ეფექტები, იგივე რეკლამები, იგივე ნაცნობი სურათები. ასეთი იყო ბ. რობაქიძე თავის პირველ ლექციის კითხვის დროს, ასეთი იყო იგი 24 ოქტომბერსაც.

მაგრამ არა... სამართლიანობა მოითხოვს გსთქვათ, რომ ამ უკანასკნელ ლექციაში ბ. რობაქიძემ ერთი რამ ახალიც შეიტანა და ეს ახალი არა შინაგანი, ორგანიული ღირსება ლექციისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დებულებას, რომ ცოცხალი უფრო გრძნობს ბუნების მოვლენებს, ვინემ ადამიანი, და არც გარეგნული. მისი შემოქმედებითი ნიჭი ერთობ მორს წასულა რეკლამებისა და ეფექტების შექმნაში. ბ. რობაქიძეს ძალიან კარგათ შეუთვისებია ის სრული ჭეშმარიტება, რომ რაც დამე უფრო ბნელია, ვარსკვლავები იმდენათ უფრო ძლიერ კაშკაშებენ. და აი მას მოუნდომებია ამ პრინციპის განხორციელება.

ამ უკანასკნელ წარმოდგენაში, უკაცრავათ ლექციაში ბ. რობაქიძემ თავისი ასისტენტებათ ბ.ბ. ივ. გომართელი და ერისთავი მოიწვია. როცა ამ პატივცემულ პირთ იწვევდა თავის ასისტენტებათ, მას ალბათ სრული იმედი ჰქონდა, რომ ესენი საზოგადოებას არ მოეწონებოდა და ბ. რობაქიძის „ხეთქილი გენიალობა“ დამსწრე საზოგადოებისათვის უფრო ცხადათ გამოჩნდებოდა.

ასე იქცევიან ხოლმე გამოცდილი მოჭიდავენიც. ჯერ უფრო მდარე მოჭიდავეებს გამოუშვებენ, ხოლო შემდეგ თვითონ გამოვლენ და თავის ეფექტიური სარმებით და ფოკუსებით ფიდავების სახელს იმსახურებენ.

მაგრამ ჩვენი გარდამავალი დროის ლურსხს ცუდი საქმე მოუვიდა: ბ. ივ. გომართელმა არ გაუმართლა მას იმედები. ბ. გომართელი სრულიადაც არ დაკმაყოფილდა იმ პატარა და უმადური როლით, რის სათამაშოთაც ბ. რობაქიძემ მოიწვია. ბარათაშვილის ბიოგრაფიის ნაცვლათ ბ. გომართელმა წაიკითხა ჩინებული გარჩევა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა, შეეხო პოეტის დიდი სულის-კვეთების მიზეზებს, გადასცა მსმენელებს მისი პოლიტიკური და სოციალური ფილოსოფია.

მაგრამ ბ. გომართელის ასეთ მოქმედებამ მარტო იმით კი არ მიაყენა ვნება რობაქიძის „ხეთქილ გენიალობას“, რომ თავის როლს გასცდა და რობაქიძის ლექციის თემა გაარჩია, ბ. გომართელმა ყველას დაუმტკიცა, რომ რობაქიძის არც ერთ ვითომდა თაყვანისმცემლებს არ მოსწონთ, ან არ გაეგებათ ის ყინადაგო მეტაფიზიკა, რომლის მქადაგებლათაც ბ. რობაქიძე გამოდის ჩვენში. ბ. გომართელმა ყველასთვის გასაგებათ, ასე ვთქვათ, რეალურათ მოუთხრო დამსწრეთ ლექციის შინაარსი და მით მსმენელების გული მოიგო... ამიტომაც იყო, რომ, როცა გომართელის ლექციის შემდეგ რობაქიძემ დაიწყო კითხვა—მისი „გენიალობის“ პატივისმცემლები ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

—ნეტავი თუ გესმის რის თქმა უნდაო, მარა ჩვენში რამდენათ უფრო გაუგებრათ ლაპარაკობთ, იმდენათ უფრო მაღლა დაიმსახურებთ „ბრძენის“ და „ფილოსოფოსის“ სახელს.

ქართველი არისტოკრატიის სათაყვანებელი „ფილოსოფოსი“ კიდევ უფრო მით დაამარცხა ბ. გომართელმა, რომ მან ხელიდან გამოაცალა ბ. რობაქიძეს მისი ერთათ-ერთი იარაღი, რომლითაც იგი საზოგადოების ზედა წრეებს მოსწონს. ბ. გომართელმა ისე ძლიერათ ჩამოჰკრა ენთუზიაზმის სიმებს, რომ მან უცბათ მოიგო მსმენელების გული. რა თქმა უნდა, ეს ნაციონალური ფონდური მატერიალისტ გომართელის ხელში უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე მეტაფიზიკ რობაქიძის ხელში.

თეატრი სავსე იყო ჩვენი უმაღლესი წოდებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებით.

არ იყო მხოლოდ ხალხი, ქართველი ხალხი. ამათ ვერ იტანენ სიტყვების ეს შედრევანები. ამათ კარგათ იციან რომ

«Не вокругъ творцовъ новаго
шума,
А вокругъ творцовъ новыхъ
цѣнностей вращается міръ».

დამსწრე.

## ახალი წრე და ძველი სექცია.

(პასუხათ ბ-ნ მეგობარს)

დასასრული.

1) წრის დაარსების ინიციატორები არიან ბ-ნნი ტოროშელიძე და სვირელიო ამბობს ჩვენი მესტორიე. ის აქაც ცდება. წრის დაარსების ინიციატორი გახლავთ თვით ძველი სექცია, რომელსაც 1909 წლის 17 მაისს დაუდგენია: „მიღებულ იქნას ზომები დაარსდეს დამოუკიდებელი საზოგადოება, რომელმაც შესძლოს სახალხო წარმოდგენების ხელმძღვანელობა“. სექციის ამ კრებას დასწრებია: ქ-ნნი დემურია, რომანიშვილი და ბბ. გვარაძე, ჯაბაური, დურგლიშვილი, თუმმალაშვილი და ტოროშელიძე. აი ვის ეკუთვნის ინიციატივა!

იგივე დადგენილება და ოქმი საინტერესო მასალას იძლევა სახ. უნივერსიტეტის და სექციის ურთიერთობის შესახებ. მოყვანილ დადგენილების მიღების წინ სექციას ჰქონია მსჯელობა იმის შესახებაც, თუ ვისი კალთის ქვეშ ყოფილიყო შეფარებული დამოუკიდებლობის მოპოვებამდინ. სახალხო კითხვათა კომისიის (ეს საზოგადოებაც აღმდგარა) თუ უნივერსიტეტის და დაუდგენია: „განაგრძოს მოქმედება, როგორც სახ. უნივერსიტეტების საზოგადოებასთან არსებულმა სექციამო“. თვით ამ დადგენილების რედაქცია დაგვარწმუნებთ, რომ სექცია მართლაც დამოუკიდებლათ გრძნობდა თავს, მაგრამ იძულებული იყო ემოქმედნა, როგორც სხვასთან არსებულს. ეს გაკვრით.

2) ტოროშელიძე და სვირელი არიან ის ჰია, რომელნიც შეუდგენ საქმის გულის გამოღრღნასო. ბ. სვირელზე არას ვიტყვი, რადგან ერთმა ნამდვილმა მეგობარმა კრების შემდეგ მითხრა: სვირელი ძალიან შორს წავა, ეს მე წინეთაც ვიცოდიო. შეიძლება მართლაც შორს წავიდეს, თუმცა მე ამის ნიშნებს ვერ ვხედავ, მაგრამ მაინც ვშიშობ და გვერდს ვუვლი მის დახასიათებას. რაც შეეხება ბ. ტოროშელიძეს, თამამათ შემიძლია ვთქვა, რომ მისი ჰიათ, შინაურ მტრათ მონათვლა და ასე მისი გაბიაბრუება არც ერთს სექციის წევრს არ ასიამოვნებს და არც არავინ კადრებდა ასეთ შეურაცხყოფას არც მას და არც თავის თავს. ყველა ერთხმივ გეტყვისთ, რომ ის არის ერთი დაუღალავი და ერთგული მუშაკი სახალხო თეატრისა და არა მგონია ვინმემ მაზე ცუდი თქვას. შესაძლებელია, იგი შეცდეს: უვარგის წესდებაზე მოაწეროს ხელი და წარადგინოს იგი დასამტკიცებლათ, მაგრამ იმას არავინ დაუჯერებს ბ. მეგობარს, რომ ს. ტოროშელიძეს სურდეს მუშა ელემენტების სახალხო საქმიდან ჩამოშორება. ამიტომ ვფიქრობ, რომ სვირელის დახასიათებაც შემცდარი უნდა იყოს.

3) ბ. მეგობარს საკვირველათ მიაჩნია სექციის დადგენილება, რომელიც მიუღია მას 12-ს ოქტომბერს ქონების ახალი წრისათვის გადაცემის შესახებ. ვინც ოქმებს წაიკითხავს, მისთვის საკვირველი არაფერი იქნება. 17 მაისს დაადგინეს დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსება. წესდება დამტკიცდა. ამის შემდეგ 12 ოქტ. „სექციამ იქონია მსჯელობა ახალი წრის შესახებ, სასურველათ იცნო მისი დაარსება და სასურველათვე სცნო გადასცეს მას მთელი თავისი საკუთარი ქონება, უკეთუ წრე დაიწყებს მოქმედებას“. ეს დადგენილება სიტყვა სიტყვით არის ამოწერილი. სექციამ დაარსა წრე, მანვე გადაწყვიტა მისი ამოქმედება და თავისი საკუთარი ქონებაც მიუძღვნა. რა არის აქ საკვირველი? ჩემი აზრით, ყოველივე ეს მეტათ ბუნებრივია.

4) სხვა კითხვაა, რამ გამოიწვია წრის დაარსების სურვილი. მე არ ვიცი, როგორ ასაბუთებდენ 17 მაისის კრებაზე მის საჭიროებას, მაგრამ ჩემის შეხედულებით ამას თავისი საპატიო მოსაზრებაც აქვს. პირველ ყოვლისა სექციას უნდოდა, ალბათ, და ასეც ხსნიან სექციის წევრები, რომ თავიდან აეშორებიათ 17 მაისს წარმომდგარი კითხვა; ვისთან ვართ და ვისთან გვიჯობს ყოფნაო. 25 მაისსაც ამაზე მსჯელობდენ და ერთ-ერთ წევრს წინადადებაც შეუტანია ქართულ დრამატიულ საზოგადოებას შევეკედლოთ ისა სჯობსო. სექციის მოღვაწეთ ბუნებრივი სურვილი აღძვრიათ საკუთარ ფეხზე დადგომისა. მით უმეტეს რომ ახალი პატრონი მათ ვერ უვლიდა და ვერ პატრონობდა. ამის დასამტკიცებლათ კმარა უკანასკნელი კონფლიქტის გაჭიანურება. ნუთუ აშკარა არ არის ყველასათვის, რომ საკუთარი ორგანიზაციის მქონე სექცია ძალიან მოკლე დროში მოუღებდა ბოლოს ამ კონფლიქტს. შესდგებოდა საზოგადო კრება და ის გადასწყვეტდა ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. ის იპოვიდა საქმის მეთაურებს.

გარდა ამისა, სექციის ძველი წევრები ბევრ სხვა მოსაზრებათაც ასახელებენ. სხვათა შორის იმასაც, რომ საკუთარი ფიზიონომიის უქონლობამ შეუშალათ ხელი ზუბალაშვილების სახლში დღეების მოპოებაში; დამოუკიდებელი ორგანიზაცია საჭიროთ მიაჩნიათ იმ მოსაზრებითაც, რომ მათი ბედი არ იქნება სხვისაზე დამოკიდებული; თვით საქმის მოწყობაში მიიღებენ მონაწილეობას მხოლოდ ისეთი პირები, რომელთაც ამ საქმისთვის შესტკივათ გული და სხვადასხვა.

ყველა ეს მოსაზრებანი ანგარიშის გასაწევია და აქ ჭიებზე და ბაცილებზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. სექციის აზრით ეს მოსაზრებანი საკმაოა დამოუკიდებელი საზოგადოების დაარსებისათვის. შეიძლება თქვენ სხვა აზრის იყოთ, მაგრამ აქ ვისიმე სახალხო საქმის მტრათ გამოყვანას უფრო დემაგოგიური სუნი უდის, ვიდრე საქმით კრიტიკისა და ამ ნიადაგზე კითხვის გადატანა არ არის სასურველი.

5) ბ. მეგობარს მოსწონს 16 ოქტომბერს მიღებული დადგენილება სექციისა და ამბობს: ამით სექციამ თავისი შეცდომა გაასწორაო. შესაძლებელია, მაგრამ შეუძლებელი და უმართებულო ის არის, რომ ის ბბ. ტოროშელიძეს და სვირელს უსაყვედურებს: „ეს მოხდა 16 ოქტომბერს, 18-ს ოქტ. კი ბ-ნნი ტ—ძე და ს—ლი, მიუხედავათ ამ დადგენილებისა იწვევენ თავისი*) ახალი წრის დამფუძნებელ კრებას და საქმის მოწყობას უდგებიანო“. აქ საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქო ხსენებულ პირთ განგებ და ჯიბრზე მოეწვიოსთ კრება. ნამდვილათ კი, ბ. მეგობარმაც უნდა იცოდეს და სხვებმაც იციან, რომ არსებულ წესების თანახმათ სამი დღით ადრე უნდა ეცნობოს პოლიციას ყოველი კრების შესახებ სად და როდის გაიმართება იგი, ხოლო წესდების § 32 ძალით კრების დრო და ადგილი უნდა გამოცხადებულ იქნეს შვიდი დღით ადრე. თუ ამ პირობებს მიიღებთ მხედველობაში, აშკარაა, რომ 16-ს კრება უკვე დანიშნულ იქნებოდა და ტ—ძეს და ს—ელს აღარ შეეძლო მისი ჩაშლა. ხოლო თვით კრებაზე იყო მსჯელობა აღნიშნულ კითხვაზე, მაგრამ კრებამ არ ისურვა დაცდა, რასაც ისე დაჟინებით თხოულობდა ექ. ჭიჭინაძე სახ. უნ. გამგეობის სახელით და 21 დამსწრეთაგან არც ერთი კაცი არ მიემხრო მის წინადადებას. შეიძლება ესეც შეცდომა იყოს, მაგრამ ამისათვის ცალ-ცალკე არავინ აგებს პასუხს. ეს დამფუძნებელთა კოლექტიური აზრია.

6) ახლა გადავიდეთ წესდებაზე. ბ. მეგობარი კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს მას და ამტკიცებს იმას, რაც უკვე ყველასათვის დამტკიცებულია. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მას აქაც ჩვეულებრივ შეცდომაში შეყავს მკითხველი, რადგან ის წესდებასაც არ იცნობს.

წრის წესდება რომ უვარგისია და ზოგიერთ მუხლებს ახლავე სჭირია შეცვლა, ეს იცნო თვით დამფუძნებელთა კრებამ და დაავალა გამგეობას წარმოუდგინოს მოკლე დროში ცვლილებითი პროექტი. მაშასადამე, აქ სადავო არაფერია. არ არის არც ერთი დამფუძნებელი და ახალი წევრი, რომელიც საჭიროთ არ თვლიდეს, წესდების შესწორებას მაგრამ ეს ნებას არ აძლევს ბ. მეგობარს, უვარგის წესდებას ცილი დასწამოს. ბ. მეგობარი ამბობს: წესდების დასაფასებლათ საკმარისია ორი უმთავრესი მუხლის გაცნობაო. 1) წრის წევრთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 60. თუ გამოჩნდა მესამოცდაერთე, იმის მიღება აღარ შეიძლებაო. ეს შეცდომაა. მართალია, წესდებაში განსაზღვრულია რიცხვი ნამდვილ წევრთა (§ 10), მაგრამ § 12 იცნობს დამხმარებელ წევრთაც (პირველი კატეგორია), რომელთა რიცხვი განუსაზღვრელია. მართალია, ამათთვის გადასახადი მეტია—5 მან., მაგრამ არჩევნებში ისინიც იღებენ მონაწილეობას და მათი უფლება მხოლოდ იმით არის განსაზღვრული, რომ გამგეობის წევრები ნამდვილ წევრებიდან უნდა აირჩიოს. შეიძლება ესეც დიდი ნაკლი იყოს წესდებისა, მაგრამ ეს ინიციატორები არ არიან დამნაშავე. წევრთა კატეგორიათ დაყოფას თხოულობს თვით კანონი. იგივე კანონი თხოულობს წევრთა (ნამდვილათ რომელნიც იწოდებიან) რაოდენობის განსაზღვრას. შეიძლება, რასაკვირველია, 60 ნაცვლათ 300-ით განსაზღვროთ, რაც უკვე დაადგინა გამგეობამ, მაგრამ განსაზღვრული რიცხვი კი უნდა დარჩეს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ და-

*) ეს სიტყვა რომ უადგილოა, ზევით ავხსენით კიდეც.

ხმარებელ წევრთაც შეუძლიათ წესდებით დახმარება აღმოჩინონ წრეს თავისი მოღვაწეობით და რომ უკანასკნელთა რიცხვი განუსაზღვრელია, მაშინ დარწმუნდებით, რომ არც მესამოცდაერთე, არც ოცი ათას მეერთე წრის გარეთ არ დარჩება, თუ კი მსურველი გამოჩნდება. ყოველივე ამას მოგახსენებთ არა წესდების დასაცავათ, არამედ ბ. მეგობრის საქმესთან გაუცნობლობის დასამტკიცებლათ. ის არა თუ მეგობარი, ამ საქმის ნაცნობიც არ ყოფილა.

3) საწევრო ფული დიდიაო. მართალია, და კიდეც დაადგინა გამგეობამ დაიყვანოს იგი ნამდვილ წევრთათვის ერთ მანეთამდე, ხოლო დამხმარებელთათვის 1 მ. 50 კაპ. ახლა, შესაძლებელია იკითხოთ, რალათ ამტკიცებდით ისეთ წესდებას, რომელსაც ახლავე შეცვლა დასჭირდაო. პასუხი ერთად ერთია. ეს წესდება გახლავთ თფილისში არსებულ რუსული დრამატიული წრის წესდებიდან გადმოწერილი, მცირეოდენი ცვლილებებით. ამ სახით წარადგინეს იგი დამფუძნებლებმა იმ მოსაზრებით, რომ უფრო მალე გამოეტანათ ნებართვა. ამას უკარნახებდა მათ შიში, რომ განსხვავებულ წესდებას უფრო ძნელათ დაამტკიცებდა ადმინისტრაცია, და ის იმედი, რომ უკვე დამტკიცებულ წესდებაში ცვლილების მოხდენა უფრო საადვილოა.

აქ არაფერი მოსაყვანია ის სიძნელე, რომელიც გამოსცადა დემოკრატიულმა მასსამ ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოების წესდების შეცვლის დროს და საწევრო ფულის შემცირებისთვის ბრძოლაში. იქ გამგეობა ეწინააღმდეგებოდა საწევრო ფულის შემცირებას, აქ კი ასეთ გამგეობას ვერც შეადგენთ, რაც უნდა ეცადოთ. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია გადაათვალიეროთ დამფუძნებელთა სია. ესენიც სულ 37 კაცია. მათ შორის 21 არის ისეთი, რომელთა სახელიც მჭიდროთ არის შეკავშირებული ქართულ სახალხო თეატრთან. მათი წარსული საუკეთესო თავდებია იმის, რომ ისინი ნამდვილი მეგობრები არიან ამ საქმისა. მათ რიცხვიმა: ქქ. დემურია, რომანიშვილი, ქიქოძე, ლეჟავა და სხვ. ბბ. გოცირიძე, ბაქრაძე, შათირიშვილი, ზურაბიშვილი, პეპანოვი, მარკოზოვი და სხვა. ამათი სახელების მოხსენებაც საკმარისია, რომ დემოკრატიულმა მასსამ თავისი თეატრი წარმოიდგინოს და სრულის ნდობით მოეკიდოს მათ მიერ დაწყებულ საქმეს.

დანარჩენ 16-დან 8 თუ 10 ისეთი „ქიებია“ ხალხის საქმის, როგორც მაგ. დ. კალანდარიშვილი, ძმ. ხახანოვები, ფირცხალაშვილი, ნ. კალანდაძე, და სხ. რჩება ოთხი თუ ხუთი კაცი შედარებით მომხრე არსებანი, რომელთა ხელის მოწერა საჭიროთ მიაჩნდათ წესდების და საქმის კეთილსაიმედოპის საჩვენებლათ და რომელნიც საქმეს არასოდეს არ ავნებენ, მხოლოდ დახმარება კი შეუძლიათ. ასეთებია: ბბ. ანტონ ფურცელაძე, პავლე თუმანიშვილი, გიგო დიასამიძე და სხ.

ახლა ვკითხავ ბ. მეგობარს: შესაძლებელია წარმოიდგინოს, რომელიმე დემოკრატიულმა მასსამ რომ ეს პირები, რიცხვით 37 კაცი შეიკრიბებიან, ან ხელს მოაწერენ ისეთ რასმე, რომელიც სახალხო საქმეს დრღნის და დასამარებას უქადის? მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ამ კითხვაზე „ჰოთი“ არც ერთი შეგნებული მუშა არ უპასუხებს. ის კი შეიძლება თქვან შემცდარანო და მაშინ ყოველი მეგობრის მოვალეობა იქნება დაეხმაროს შეცდომის გასწორებაში. სამწუხაროთ, ამას ვერ ვხედავ. აქ უფრო თითის ქნევა, მბრძანებლობა და მუქარა გამოსჩანს, ვიდრე დახმარება.

ყოველივე ზევით ნათქვამიდან მკითხველი დაინახავდა, რომ ალიაქოთი ტყუილ უბრალოთ არის ატეხილი. ტყუილა აშინებენ დემოკრატიულ მასსას, ვითომც მის საქმეს რაიმე საფრთხე მოელოდეს. ვინც საქმეს გაეცნობა, ის არ დაუჯერებს ბ. მეგობარს და ეტყვის: ჯერ-ჯერობით ჩვენ საქმე საიმედო პირთა ხელში მიგვაჩნია, და თუ ღმერთი გაუწყრათ უღალატეს იმ პირებმა თავის წარსულს, მაშინ მათ ძლევასაც შევძლებთო.

ვგრძნობ, წერილი მიჭიანურდება და აქვე აღვნიშნავ, რომ მისი გაჭიანურების ბრალი რამოდენიმეთ „მომავალის“ რედაქციასაც ედება, რადგან ახალ წრეს მხოლოდ საპოლემიკო წერილი უძღვა, კრების ანგარიში კი არ მოათავსა. *) ბევრი იმათგან, რაც აქ მოგახსენეთ კრებაზე იყო ნათქვამი და ანგარიში მეც გამანთავისუფლებდა მათი აქ გამეორების აუცილებლობიდან. სამართლიანობაც მოითხოვდა, თუ რედაქცია საპოლემიკო წერილების ბეჭდვას იწყებდა, ჯერ ობიექტიურათ გაეცნო მკითხველისათვის საქმის მდგომარეობა და შემდეგ შედგომოდა პოლემიკას. ამითი მკითხველიც მოიგონებდა და საქმეც.

კიდევ ორი სიტყვა დემოკრატიზმზე. ახალ წრეს რომ უკიჟინებენ ანტ-იდემოკრატიული სარჩული გაქვსო, იმათ ალბათ, არ იციან რა დემოკრატიული სარჩული ქონდა ძველ სექცის. აი ეს დემოკრატიზმიც. როგორ შედგა არსებული სექცია? პირველი სექციის შედგენაში (რომელიც სახალხო უნივერსიტეტს შეეფარა) მიუღია მონაწილეობა ოთხ პირს. 1908 წელს კი მხოლოდ სამს. შედგენილი სია დაუმტკიცებია გამგეობას. შემდეგ სექციიდან გადიოდენ და მათ მაგიერ სხვებს იწვევდენ, მაგრამ არა სახ. უნ. გამგეობა ან რომელიმე კრება, არამედ თვით სექცია და ამ წესით მიღებული არის დღევანდელ სექციაში თოხმეტიდან შვიდი. თუ ეს დემოკრატიზმია, ყველაფერი დემოკრატობა იქნება! ასეთი დემოკრატიზმი იყო ძველ სექციაში და ამის პატრონი მეგობარი უკიჟინებს ახალ წრეს ანტიდემოკრატობას! დასასრულ ორიოდე სიტყვა „pro domo sua“ —პირადათ ჩემზე. ბ. მეგობარი ბრძანებს: როცა დამფუძნებელ კრებაზე ექიმმა ჭიჭინაძემ აღნიშნა წესდების ანტიდემოკრატიული სარჩული, გამოჩნდენ ისეთებიც, რომლებმაც ასეთ სამართლიან შენიშვნას, „თავაშვებული დემოკრატიზმი“ უწოდა და ასეთი მოთხოვნილება ზედმეტათ ჩათვალა, რას იზამთ! знаменіе времени, როგორც რუსები იტყვიანო“, ათავებს ბ. მეგობარი. მოყვანილი სტრიქონები ისე წარმოგვიდგენთ საქმეს, თითქო მართლა იყო ვინმე წინააღმდეგი ექ. ჭიჭინაძის შენიშვნებისა წესდების შესახებ. ეს ტყუილია. არც ერთს იქ დამსწრეს არ უთქვამს, რომ წესდებას შეცვლა არ უნდაო, ან საწევრო ფულის შემცირება არ არის საჭიროვო. პირადათ მე ვთქვი, რომ ყოველივე შენიშვნა მისაღებია და უნდა დაევალოს გამგეობას ან ცალკე კომისიას შეასწოროს წესდება და მოკლე დროში წარმოუდგინოს საზოგადო კრებას თქო. კრებამ ეს მიიღო. ექ. ჭიჭინაძის წინააღმდეგი მხოლოდ იმაში იყო კრება, რომ არ დაეთანხმა ახალ წრის მოქმედება-უმოქმედობის საკითხი სახ. უნივერსიტეტის გამგეობისათვის მიენდო გადასაწყვეტათ. აქაც ცდება ბ. მეგობარი, მაგრამ მისი შეცდომების ჩამოთვლა შეუძლებელია!

რაც შეეხება, „თავაშვებულ დემოკრატიზმს“ ეს ჩემი სიტყვებია და ახლაც ვიმეორებ, რომ ასეთი დემოკრატიზმი არ არის საჭირო. ხოლო, როცა თავაშვებულ დემოკრატიზმზე ვლაპარაკობდი, მე სახეში მქონდა ის ის დემოკრატიზმი, რომელიც უკანასკნელ ხანებში მეფობდა ავჭალის აუდიტორიაში და რომელიც უკვე ზევით დავახასიათე. მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიქნები ისეთი წესის, რომლის ძალითაც რომელიმე დაწესებულება გამვლელ-გამომვლელთა და 14-15 წლის ბალღების სათამაშოთ გახდება. თუ ბ. მეგობარს მოსწონს ასეთი წესი, ეს მისი გემოვნების საქმეა, მაგრამ მაშინ ეს დემოკრატობა აღარ იქნება, არამედ ოხლოკრატობა და მისთვის დამილოცნია. ყველა იქ დამსწრეთ შეუძლიათ დაამოწმონ, პირადათ მევე მივუთითე საზ. კრებას საწევრო ფულის შემცირების საჭიროებაზე და დემოკრატიული მასსის გავლენის საჭიროებაზედაც. მაშ, რათ დასჭირდა ბ. მეგობარს ღრმა აზროვანი “знаменіе времени“-ს ხმარება ან ჩემი სახელის დამალვა. მე არ ვუფრთხი ჩემს სიტყვებს და ის რათ მზოგავს?

დროს ამყოლი კაცი არ არის დასაზოგავი და რათ იჩენს ასეთ ლმობიერებას! არ მინდა ამ ნიადაგზე გადავიტანო კამათი და თუ საჭიროთ დავინახე ჩემი ამ სიტყვების ავტორათ გამოქვეყნება, მხოლოდ იმისთვის, რომ სხვას არ მოახვიონ თავზე ის, რაც მე ვთქვი. ჩემი სიტყვებისათვის მევე ვაგებ პასუხს...

ნიკო ელიავა.

*) კრების ანგარიში პირველ დღეს უადგილობის გამო ვერ მოვათავსეთ, ხოლო შემდეგ დაგვიანებულათ ჩავსთვალეთ. მაინცადა მაინც კრების ანგარიში ახალი წრის სასარგებლოთ არაფერს არ ლაპარაკობს. რედ.

—

P. S. გთხოვთ საშვალება მომცეთ ჩემ წერილში შევიტანო შემდეგი შესწორება: 1) ჩემი წერილის დასაწყისში ნათქვამია, რომ ნოე ჟორდანიას გამოსვლა მოხდა „გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში“. მე ეს ისე გადავეცი მკითხველთ, როგორც ჩემს მახსოვრობაში დარჩენილიყო. ხოლო, როცა ძველი „კვალი“ გადავათვალიერე აღმოჩნდა, რომ ეს მომხდარა 1901 წლის დამდეგს. ხსენებული კითხვის შესახებ წერილები არის მოთავსებული „კვალის“ №№ 6, 7 და 8-ში.

2) იქვე მოხსენებულია, რომ „ჯგუფში თავიდანვე ინტელიგენტები იყვენ ხელმძღვანელები“. ეს სიტყვები შეეხება იმ დროს, როცა სექცია შეეფარა სახალხო კითხვების გამმართველ კომისიას“. *)

ნ. ელიავა.

*) ეს შესწორება ბ. ელიავამ მხოლოდ გუშინ მოიტანა, როცა მისი წერილის ის ადგილი, რასაც ეს შესწორება ეხება, უკვე დაბეჭდილი იყო კვირის ნომერში, ხოლო მეორე ნაწილი —აწყობილი. რედ.

# პროვინცია

—

**ს. აცანა.** (გურია) 18 ოქტ. იასაულმა დაუარა ხალხს და გამოუცხადა: ბოქაულის მობძანდება და ყველამ კანცელიარიაზე მოიყარეთ თავიო. ხალხი გამოცხადდა კანცელიარიაზე და დილიდან საღამომდე მშივრები ელოდენ ბოქაულის მობრძანებას. საღამოზე, როგორც იქნა მოვიდა ბოქაული და გამოუცხადა ხალხს: თქვენში ორი დეზერტირი იმალება: ონოფრე და ლევარსი ჩხაიძეები უნდა მინახოთ და ჩაგვაბაროთო. ხალხმა უპასუხა: ჩვენ არაფერი ვიცით და საიდან ჩაგაბაროთო, მაშინ ბოქაული დაემუქრა მთავრობის მამასახლისის ჩამოყენებით.

ამას წინათ აქ დააპატიმრეს ხარიტონ ქინქლაძე, დაპატიმრების მიზეზი არ იციან.

პ. ჩ.

—

**ს. საჯავახო.** ისედაც წლევანდელ გამუდმებულ გვალვების გამო მოუსავლობამ კარზე შიმშილი მოგვაყენა. ორი სამი თვის სარჩო ძლივს მოუვიდათ გლეხებს. მაგრამ აქაც უმტყუვნათ ბედმა, სიმინდს ჭია გაუჩნდა და ეს სამი თვის სარჩოც უვარგისია, ხალხს აუცილებელი შიმშილი მოელის. საზოგადოთ მთელ გურიაში გავრცელებულია სიმინდის ეს საშინელი სენი. ვსთხოვთ ვინც კი რაიმე საშუალება იცის ამ ჭიის წინააღმდეგ, გვაცნობონ, რითაც აუცილებელ სიმშილისაგან დაიხსნიან უბედურ ხალხს.

შეგნებილი.

# მუშათა შორის

—

**ფოთის ნოქართა ცხოვრებიდან.** გასულ კვირას, 11 ოქტომბერს ადგილობრივ პოლიცმეისტერმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა არ გაეღოთ არც ერთი სახელოსნო და სავაჭრო დაწესებულებები კვირაობით, თმნახმად სავალდებულო დადგენილებისა (15 ნოემბრის კანონის ძალით.) წინათ ამ სავალდებულო დადგენილებას არავინ ყურადღებას არ აქცევდა და თავისუფლათ აღებდენ სავაჭრო-სახელოსნოებს კვირა-უქმე დღეებსაც; ზოგან საღამოს 10 საათამდე სწარმოებდა ვაჭრობა, ზოგან 12-მდისაც კი.

ასეთ თავისუფლებას დაჩვეულ აღებს ეს განკარგულება ძალიანი ეუცხოვათ და ხელათ გადასწყვიტეს შეადგინონ კოლლექტიური თხოვნა და იშუამდგომლონ ქალაქის საბჭოში; ამას მეთაურობდა ო. ჟ—ია და კომპანია. თქვეს და აასრულეს კიდეც, შეიტანეს თხოვნა—დაახლოვებით თხოვნის შინაარსი შემდეგია: „გავითვალწინეთ რა, რომ დღეს ვაჭრობა-მრეწველობა კრიზისს განიცდის, ჩვენთვის აუტანელი იქნება, თუ დუქან-მაღაზიები უმეტეს დროს დაკეტილი გვექნება. ამიტომ გთხოვთ შესცვალოთ ეს დადგენილება ასე: სავალდებულო დადგენილების მე 2 §-ს შევცვალოთ ნაცვლად 10 საათის ვაჭრობისა 15-ტი საათის ვაჭრობაზე ეს იმ პირობებში, რომ ვიყოლიოთ ორი „სმენა“ და კვირაობით კი დილის 6 საათიდან 10 საათამდე“.

ასეთი ტაქტით უნდათ დღეს ხაზეინებს ფონს გავიდენ, მაგრამ ეს ტყუილი ოცნება იქნება.

აი როგორ ირაზმებიან დღეს ხაზეინები მოსამსახურეების წინააღმდეგ.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რომ ზედმეტი მუშაობა მოისპოს თანახმად სავალდებულო დადგენილებისა.

გოდია

—

**კილავართა მაღაროს მუშათა ცხოვრებიდან.** ამ ჟამათ ჭიათურის ამ ნაწილში ბევრ შავ ქვას ამზადებენ მაღაროებიდან ბაქანზე გადმოსატანათ. სამუშაოს მეტი ნაწილი აღებული აქვთ „ძმ. ფორჩედებს“ ოგანეზოვს, ძმ. ჯიმშელეიშვილებს, კილაძეს, გაფრინდაშვილს და სხვებს...

ყველა ესენი, როგორც ხაზეინები, მუშებს სასტიკათ ეპყრობიან და უმიზეზოთ ითხოვენ.

ამ დღეებში „ფორჩედის“ კანტორამ დაითხოვა მუშა გ—ძე, მიზეზათ ის დაასახელა, რომ ზარალი მომაყენაო. კილაძემაც, 15 ოქტომბერს რამდენიმე მუშა გარეკა სამუშაოდან უმიზეზოთ;—აქაურ მუშებში ძლიერ გავრცელებულია სახადი, ექიმების შემოწმებით ამ სენის გაჩენის მიზეზებია ცუდი წყალი, რომელსაც მუშები ხმარობენ და ცუდი საჭმელი. არა აქვთ არავითარი კულტურული დაწესებულება—როგორიცაა, წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხვა. დიდი ხანია რაც, „ფორჩედის“ კანტორა შეპირდა მუშებს, სასადილოების და ბიბლიოთეკის გახსნას, მაგრამ ჯერ ჯერობით დაპირება დაპირებათ რჩება.

„მოველი“.

# უცხოეთი

## ჯარის აჯანყება საბერძნეთში

საბერძნეთის ფლოტის ჯარის-კაცთა აჯანყება ორი, ერთი მეორეს საწინააღმდეგო ოფიცერთა კავშირის ბრძოლაა. დიდი ხანია საბერძნეთის ჯარში ორი კავშირი არსებობს—ზომიერი და რადიკალური. პირველის მეთაურია პოლკოვნიკი ზორბასი, რომელიც ეხლა საბერძნეთის ფაქტიურ დიქტატორათ ითვლება და მეორესი—მაიორი სიმბრაკოკისი. ეს უკანასკნელი მოითხოვს ეხლანდელი სამინისტროს გადაყენებას, უცხო სახელმწიფოთაგან საბერძნეთის ელჩების უკანვე გამოწვევას, სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას და ყველა იმათ დაპატიმრებას, ვინც მის პროგრამას არ ემხრობა. მოითხოვს აგრეთვე ეხლანდელი სამეფო გვარეულობის საბერძნეთიდან სრულიად გაძევებას და სხვ... როგორც ამბობენ, ამ კავშირის გავლენით მოითხოვეს ფლოტის უმცროსმა ოფიცრებმა, რათა უფროსი ოფიცრები, რომელთაც არ ქონდათ მიღებული უმაღლესი სამხედრო სამეცნიერო განათლება, სამსახურიდან დაეთხოვათ. საზღვაო მინისტრი წინააღმდეგი იყო ამის, ვინაიდან ამის შემდეგ ფლოტში მხოლოდ 4 უფროსი ოფიცერი დარჩებოდა და სურდა სამსახურიდან გასვლა, მარა პოლკოვნიკმა ზორბასმა აიძულა ის დარჩენილიყო თავის ადგილზე და ცოტა რამ დაეთმო. მინისტრი ასეც მოიქცა. მან აღუთქვა ოფიცრებს, რომ მთავრობა შეიმუშავებს ისეთ კანონ-პროექტს, რომლითაც განისაზღვრება უფროსი ოფიცრების ხნოვანება და ამის შემდეგ ისინი იძულებული გახდებიან სამსახურიდან გავიდნენ. ამაზე ოფიცრები და მინისტრი უკვე შეთანხმდენ და მოლაპარაკება გაიმართა მეორე ხარისხოვან საკითხებზე. სხვათა შორის ოფიცრები მოითხოვდენ ფლოტის ლეიტენანტის კოკორისის ციხიდან განთავისუფლება, რომელიც 1897 წლიდან იხდის სასჯელს სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით. მან საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დროს საბერძნეთის ფლოტის ადმირალს სამშობლოს ღალატი დასწამა, რაც სასამართლოში არ დამტკიცდა. მოლაპარაკება დასრულებული არ იყო ჯერ კიდევ, რომ კაპიტანმა ტიპალდოსმა, რომელსაც 9 ოფიცერი და 300 ჯარისკაცი მიემხრო, მოთხოვნილება წარუდგინა მთავრობას და სამხედრო ლიგას, რომ ის (ტიპალდოსი) დაენიშნათ სამხედრო მინისტრათ და ხელი შეეწყოთ მისთვის საჭირო რეფორმების მოხდენაში, რომ გაექცევებია ფლოტიდან ძველი, უვარგისი ოფიცრები. სამხედრო ლიგამ პროკლამაცია გამოსცა, სადაც ტიპალდოსი ფიცის გამტეხათ და სამშობლოს მოღალატეთ იქნა აღიარებული. ლიგამ გამორიცხა ის თავის წევრობიდან და სახელმწიფოს ღალატისთვის დაადგინა მისი სამხედრო სამართალში მიცემა. ამის შემდეგ ტიპალდოსმა და მისმა მომხრეებმა დაიჭირეს სალამინში მდებარე საზღვაო არსენალი და მის ახლოს მდებარე ორი კუნძული—ლეროსი და კირუ. ვინაიდან ყოველივე მოლაპარაკებამ მათთან უნაყოფოთ ჩაიარა, მთავრობის ერთგულ ფლოტსა და ტიპალდოსს შორის გაიმართა ბრძოლა და ტიპალდოსიც ძლეულ იქნა.

ასე რომ, ტიპალდოსი ჯარის რადიკალური ნაწილის მოთხოვნილების თანახმად მოქმედებდა. სანამ ის მოთხოვნილებას წარუდგენდა მთავრობას, თავის ამხანაგებს სიტყვა ჩამოართვა და განცხადებაზე ხელიც მოაწერია, რომ თუ მთავრობა მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, საკუთარი ძალით შეეცდებოდენ მის მოპოვებას. ამიტომ დილით ადრე, სანამ ტიპალდოსი აჯანყებას დაიწყებდა, ბევრი მისი თანამოაზრე ოფიცერი გაემგზავრა ჯარით მასთან, რომ აჯანყებულებს შეერთებოდენ, მაგრამ მთავრობას ადრე შეეტყო მათი განზრახვა და ორი პოლკი ქვეითი ჯარით გზა შეუკრა და ამით ტიპალდოსს დიდი ძალა მოაკლდა, რომლის იმედითაც ის საქმეს შეუდგა. ამიტომ იყო, რომ აჯანყებულებმა 20 წუთის მეტი ვეღარ გაუძლეს მთავრობის ჯარს და დანებდენ. ტიპალდოსი საბერძნეთის ფლოტის ერთი ძველი ოფიცერთაგანია. უკანასკნელათ ის ნაღმოსანთა რაზმში მსახურებდა და ამით აიხსნება ის, რომ მას უმთავრესათ ნაღმოსნები მიემხრნენ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ ჟამათ ამგვარივე ამბები ხდება თურმე საბერძნეთის სხვა დაწესებულებებშიაც მაგ., ყველა დაწესებულებათა დაბალი მოხელეები (წინოვნიკები) მოითხოვენ უფროსი მოხელეების გადაყენებას. უმაღლეს სასწავლებლებშიაც კი, პრივატ-დოცენტები ცდილობენ, რათა ძველი პროფესორების კათედრები დაატოვებინონ. როგორც გაზეთები იუწყებიან, მოსალოდნელია პოლკოვნიკ ზორბასის მეთაურობით კაბინეთის შედგენა, ვინაიდან, მთავრობის აზრით, მხოლოდ მან გამოიჩინა ზომიერება და ის შესძლებს ჯარის დაწყნარებასაც.

## „მომავალის“ ფოსტა

—

**ფოთი.** არ. ა. ჩხეიძეს. რედაქციამ მიიღო თქვენი წერილი „ფოთელი ბზიკის“ საპასუხოთ, მაგრამ არ იბეჭდება, რადგან, ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში მოთავსებული იყო ფოთიდან ცნობა, საიდანაც ვტყობილობთ, რომ თქვენთვის უკვე შეუყენებია პოლიციას მეორე ოქმი ბუხბინდერის რეცეპტით წამლის გაყიდვის გამო 19 ოქტომბერს, ე. ი. მას შემდეგ, რაც თქვენ საპასუხო წერილი გამოგზავნეთ, რომლითაც თავს იმართლებთ.

**ბათუმი.** ნიკიფორე ხომერიკს. თქვენი წერილი არ იბეჭდება: რედაქციას ხელში აქვს მასალა, რომელიც ამტკიცებს, რომ „გარეშემ“ არა თუ ცილი არ დაგწამათ, არამედ—სრული სიმართლე სთქვა თქვენზე. და თუ ამ მასალას არ ვბეჭდავთ, ამის მადლობელი უნდა იყოთ.

**ხონი.** ვლადიმერ ნადარეიშვილს. შესცვალეთ ადრესი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

ექიმი
**პ. არდაზიანი**
ბავშვების და შინაგანი ავათმყოფ.
კუთხე მელიქოვისა და ალექსანდროვის ქუჩისა ინტენდანსტვოს პირდაპირ. მე-9 უჩასტკა: დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდის.
Уголъ Меликовской и Александровской ул.
(0—13)

კანტორა და სკლადი
**ი. ახობაძისა**
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„სპერმატინი“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„ალმეზა“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სატელი 40 კ.
„კლაპოვნი“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სალიუბლინი პროფესორ გიუმონდისა სესუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„პრიმა“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოკვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—8